ხელშეკრულება № 10-87/1
სახელმწიფო შესყიდვის შესახებ

ქ. თბილისი 24.10 2017 წ.

შემსყიდველი: საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო, წარმოდგენილი ეკონომიკური დეპარტამენტის უფროსის მოვალეობის შემსრულებლის **მამუკა ბერიძის** სახით.
მისამართი: ქ. თბილისი, დ. უზნაძის ქ. №52;
ტელ.: 2200 220
საბანკო რეკვიზიტები: სახელმწიფო ხაზინა, კოდი: TRESGE22; ა/ა GE24NB0330100200165022;
საიდენტიფიკაციო კოდი 202051224;

მიმწოდებელი: შპს "ფორნეტ" წარმოდგენილი მისი დირექტორის **არჩილ ახალკაციშვილის** სახით,
მისამართი: ქ. თბილისი, გლდანი მე- 7 მ/რ, კორპ 20, ბინა 60;
ტელ.: +995 32 2193370
საბანკო რეკვიზიტები: ს/ს „საქართველოს ბანკი"; კოდი: BAGAGE22; ანგ. № GE66BG000 0000 841714600
საიდენტიფიკაციო კოდი 401999414

ერთი მხრივ შემსყიდველი და მეორე მხრივ მიმწოდებელი „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის მე-3 მუხლის პირველი პუნქტის „ს1„ ქვეპუნქტის საფუძველზე დებენ სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. ხელშეკრულებაში გამოყენებულ ტერმინთა განმარტება

ხელშეკრულებაში გამოყენებულ ტერმინებს აქვთ შემდეგი მნიშვნელობა:
1.1 „ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ" (შემდგომში – „ხელშეკრულება") – შემსყიდველსა და მიმწოდებელს შორის დადებული წინამდებარე ხელშეკრულება, რომელიც ხელმოწერილია მხარეთა მიერ, მასზე თანდართული ყველა დოკუმენტით.
1.2 „ხელშეკრულების ღირებულება" – საერთო თანხა, რომელიც უნდა გადაიხადოს შემსყიდველმა მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრული და ზედმიწევნით შესრულებისათვის.
1.3 „დღე", „კვირა", „თვე" – კალენდარული დღე, კვირა, თვე.
1.4 „შემსყიდველი" – ორგანიზაცია, რომელიც ახორციელებს შესყიდვას.
1.5 „მიმწოდებელი" – პირი, რომელიც ახორციელებს შესყიდვის ობიექტის მიწოდებას ხელშეკრულების ფარგლებში.
1.6 „საქონელი" – ხელშეკრულების მე-2 მუხლით გათვალისწინებული ხელშეკრულების საგანი.

2. ხელშეკრულების საგანი და კლასიფიკატორის კოდი

ხელშეკრულების საგანს წარმოადგენს **IP პროტოკოლით მომუშავე ტელეფონის აპარატის (CPV:32500000) შესყიდვა,** რომლის რაოდენობა და აღწერილობა მოცემულია წინამდებარე ხელშეკრულების მე-3 პუნქტის 3.2 ქვეპუნქტით გათვალისწინებულ ცხრილში.

3. ხელშეკრულების ჯამური ღირებულება

3.1 ხელშეკრულების ღირებულება შეადგენს **2200,00 (ორი ათას ორასი)** ლარს.
3.2 შესყიდვის ობიექტის მახასიათებლები და ერთეულის ფასები მოცემულია ქვემოთ წარმოდგენილ ცხრილში:

N	დასახელება /მახასიათებლები	რაოდენობა (ცალი)	ერთეულის ფასი	ჯამური ღირებულება
1	IP პროტოკოლით მომუშავე ტელეფონის აპარატი Grandstream GXP1610	20	110.00	2200.00
			სულ ჯამი:	**2200.00 ლარი**

3.3 ხელშეკრულების ჯამური ღირებულება მოიცავს მიმწოდებლის ყველა ხარჯსა და საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ ყველა გადასახადს.

4. ანგარიშსწორების ფორმა და ვადები

4.1 მიმწოდებელთან ანგარიშსწორება განხორციელდება უნაღდო ანგარიშსწორების წესით ეროვნულ ვალუტაში.

4.2 ანგარიშსწორება განხორციელდება ფაქტიურად მიწოდებული შესყიდვის ობიექტის ღირებულების შესაბამისად, მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების საფუძველზე.

4.3 მიმწოდებელთან ანგარიშსწორება განხორციელდება მიღება-ჩაბარების აქტის ხელმოწერიდან 10 სამუშაო დღის განმავლობაში.

4.4 წინასწარი ანგარიშსწორება არ გამოიყენება.

4.5 დაფინანსების წყაროს წარმოადგენს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს 2017 წლის ბიუჯეტი: „განათლებისა და მეცნიერების სფეროში სახელმწიფო პოლიტიკის შემუშავება“ (პროგრამული კოდი 32 01 01),

5. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი

5.1 შესყიდვის ობიექტი ჩაითვლება მიღებულად მხოლოდ მხარეებს შორის მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების შემდეგ.

5.2 მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების საფუძველია წინამდებარე ხელშეკრულების მე-8 პუნქტის 8.2 ქვეპუნქტით განსაზღვრული კონტროლის განმახორციელებელი პირის დასკვნა.

5.3 შემსყიდველის მხრიდან მიღება-ჩაბარების აქტზე ხელმომწერ უფლებამოსილ პირს წარმოადგენს მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის სამმართველოს უფროსი გიორგი გურგენიძე (მისი არყოფნის შემთხვევაში, შესაბამისად უფლებამოსილი პირი).

6. შესყიდვის ობიექტის სპეციფიკაცია, მიწოდების ვადა და ადგილი

6.1 შესყიდვის ობიექტი უნდა აკმაყოფილებდეს შემდეგ პარამეტრებს:

- უნდა გააჩნდეს დისპლეი (ფონური განათებით);
- SIP 2.0 პროტოკოლის მხარდაჭერა;
- SIP Domain, SIP Authentication მხარდაჭერა;
- ორი Ethernet პორტი;
- სტანდარტული ზარის განკარგვის ფუნქციები: Call Forward, DND, Call Transfer, Call Hold, 3-Way Calling; ექოს ჩამხშობის შესაძლებლობა, ხმის გაუმჯობესების VAD,AGC, AEC სტანდარტების მხარდაჭერა;
- კონფიგურაციის შესაძლებლობა HTTP და TFTP პროტოკოლების მეშვეობით;
- Bridge Mode, VLAN (Voice VLAN, Data VLAN) მხარდაჭერა;
- ორივე - C.711u G.711a კოდეკების მხარდაჭერა;
- G.726,06.10 GSM, iLBC, G.729- ჩამოთვლილთაგან აუცილებელია ერთი ან მეტი კოდეკის მხარდაჭერა;
- კვების ბლოკი მომუშავე შემავალ ცვლად 200-240V ძაბვასა და 50Hz სიხშირეზე.

6.2 შესყიდვის ობიექტის მიწოდება განხორციელდება ხელშეკრულების გაფორმებიდან 3 სამუშაო დღის ვადაში.

6.3 შესყიდვის ობიექტის მიწოდების ადგილია: ქ. თბილისი, დ. უზნაძის ქ. №52 (საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ადმინისტრაციული შენობა).

7. მხარეთა უფლება–მოვალეობები

7.1. მიმწოდებელი ვალდებულია:

7.1.1. შემსყიდველს მოაწოდოს ხელშეკრულებაში მითითებული საქონელი წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადაში. იგი პასუხისმგებელია მოწოდებული საქონლის ხარისხზე;

7.1.2 დეფექტიანი ან ნაკლოვანი საქონლის ჩანაცვლებისას შემსყიდველს მიაწოდოს წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული ხარისხის საქონელი.

7.2 მიმწოდებელი უფლებამოსილია მოსთხოვოს შემსყიდველს მიწოდებული საქონლის ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადებში.

7.3 შემსყიდველი ვალდებულია უზრუნველყოს მიწოდებული საქონლის ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადაში.

7.4 შემსყიდველი უფლებამოსილია ნებისმიერ დროს განახორციელოს მიმწოდებლის მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულებისა და ხარისხის კონტროლი.

8. ხელშეკრულების შესრულების კონტროლი

8.1 მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით გათვალისწინებული შესყიდვის ობიექტის შემსყიდველისათვის მიწოდებისას კონტროლის განმახორციელებელი პირი ამოწმებს და შესაბამისი დასკვნით ადასტურებს შესყიდვის ობიექტის შესაბამისობას ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობებთან და შემსყიდველის მოთხოვნებთან.

8.2 ხელშეკრულების შესრულების კონტროლს განახორციელებს მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის სამმართველოს შტატგარეშე თანამშრომელი, საინფორმაციო ტექნოლოგიების მენეჯერი - გრიგოლ მანაგაძე.

8.3 მიმწოდებელი ვალდებულია საკუთარი რესურსებით უზრუნველყოს ხელშეკრულების პირობების შესრულების კონტროლის განხორციელებისათვის აუცილებელი პერსონალის და ტექნიკური საშუალებების გამოყოფა, ასევე უზრუნველყოს საჭირო სამუშაო პირობები. იმ შემთხვევაში, თუ შემსყიდველი ორგანიზაცია ხელშეკრულების პირობების შესრულების კონტროლის მიზნით გამოიყენებს საკუთარ ან მოწვეულ პერსონალს, მის შრომის ანაზღაურებას უზრუნველყოფს თვითონ შემსყიდველი ორგანიზაცია.

8.4 თუ ხელშეკრულებით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული, ყველა გამოვლენილი ნაკლოვანების აღმოფხვრასთან და კონტროლის ხელახლა განხორციელებასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურება ეკისრება მიმწოდებელს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

9. გარანტია

9.1 შესყიდვის ობიექტზე (ტელეფონის აპარატი) ვრცელდება 2 (ორი) წლიანი გარანტია.

9.2 მიმწოდებელი ვალდებულია საგარანტიო ვადის განმავლობაში საქონლის ექსპლუატაციის ნორმების დაცვის შემთხვევაში, საკუთარი ხარჯებით აღმოფხვრას ექსპლუატაციის პროცესში გამოვლენილი ნებისმიერი ხარვეზი/წუნი, საჭიროების შემთხვევაში უზრუნველყოს წუნდებული საქონლის შეცვლა ახლით, ხარვეზის/წუნის გამოვლენიდან 5 სამუშაო დღის ვადაში.

10. ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა

10.1 ფორს-მაჟორული პირობების გარდა, შემსყიდველი უფლებამოსილია ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების დაგვიანებით შესრულების შემთხვევაში, დააკისროს მიმწოდებელს პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე შეუსრულებელი ვალდებულების ღირებულების 0,2%-ის ოდენობით.

10.2 მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების არაჯეროვანი შესრულების ან/და შეუსრულებლობის შემთხვევაში მას დაეკისრება პირგასამტეხლოს გადახდა ხელშეკრულების ღირებულების 5%-ის ოდენობით.

10.3 ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების ხარვეზით შესრულების შემთხვევაში მიმწოდებელს დაეკისრება პირგასამტეხლო ხელშეკრულების ღირებულების 3%-ის ოდენობით.

10.4 იმ შემთხვევაში, თუ მიმწოდებელი ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შესრულებას გადააჭარბებს 10 კალენდარული დღით, შემსყიდველი იტოვებს უფლებას ცალმხრივად შეწყვიტოს ხელშეკრულება და ასევე, გამოიყენოს ამ პუნქტის 10.2 ქვეპუნქტით გათვალისწინებული პირობები.

10.5 მე-4 მუხლის 4.3 პუნქტში მითითებული ვადის გადაცილების შემთხვევაში მიმწოდებელი უფლებამოსილია შემსყიდველს დააკისროს პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე შეუსრულებელი ვალდებულების ღირებულების 0,1%-ის ოდენობით.

10.5 დაკისრებული პირგასამტეხლო გადახდილ უნდა იქნას მხარისათვის აღნიშნულის თაობაზე გადაწყვეტილების (წერილი პირგასამტეხლოს დაკისრების თაობაზე) გაცნობიდან არაუგვიანეს 1 თვის ვადისა.

11. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა და ხელშეკრულების შეწყვეტა

11.1 ხელშეკრულებაში ნებისმიერი ცვლილების, დამატების შეტანა შესაძლებელია მხოლოდ წერილობითი ფორმით, მხარეთა შეთანხმების საფუძველზე.

11.2 ხელშეკრულების პირობების, მათ შორის, ფასის შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილებების შედეგად იზრდება ხელშეკრულების ჯამური ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველისთვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვა ხდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

11.3 საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398–ე მუხლით გათვალისწინებული გარემოებების დადგომის შემთხვევაში, ხელშეკრულების ჯამური ღირებულების გაზრდა დაუშვებელია ხელშეკრულების ღირებულების 10%-ზე მეტი ოდენობით.

11.4 თუ რაიმე წინასწარ გაუთვალისწინებლი მიზეზების გამო წარმოიშვება ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილების შეტანის ინიციატორი ვალდებულია წერილობით ან კომუნიკაციის ელექტრონული საშუალებების გამოყენებით შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი ინფორმაცია.

11.5 იმ შემთხვევაში როდესაც საქართველოს კანონდებლობით განისაზღვრება იმგვარი პირობა რითაც ერთერთი მხარე ვეღარ ასრულებს ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვალდებულებას, შესაბამისი მხარე უფლებამოსილია ცალმხრივად შეწყვიტოს ხელშეკრულება.

11.6 ხელშეკრულება ასევე შეიძლება შეწყდეს მხარეთა ინიციატივით, ურთიერთშეთანხმების საფუძველზე.

12. ფორს-მაჟორი

12.1 ხელშეკრულების პირობების ან რომელიმე მათგანის მოქმედების შეჩერება ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის გამო არ იქნება განხილული როგორც ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა ან დარღვევა და არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას.

12.2 ამ მუხლის მიზნებისათვის ფორს-მაჟორი ნიშნავს ისეთ გარემოებებს, რომელთა არსებობის გამო მხარისათვის ობიექტურად შეუძლებელი იყო სახელშეკრულებო ვალდებულებების შესრულება (სტიქიური მოვლენები, საომარი მოქმედება, ეპიდემია, კარანტინი, საბიუჯეტო ასიგნებების მკვეთრი შემცირება, მომსახურების მიწოდებაზე ემბარგოს დაწესება, სახელწიფო გადატრიალება და სხვ.).

12.3 მიმწოდებლისთვის ფორს-მაჟორული გარემოების დადგომა უნდა დასტურდებოდეს საქართველოს სავაჭრო-სამრეწველო პალატის მიერ.

12.4 შემსყიდველისთვის მიერ ფორს-მაჟორული გარემოების დადგომა უნდა დასტურდებოდეს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

12.5 ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის შემთხვევაში ხელშეკრულების დამდებმა მხარემ, რომლისთვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება ასეთი გარემოებების და მათი გამომწვევი მიზეზების შესახებ.

13. დავები და მათი გადაწყვეტის წესი

ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში წამოჭრილი ყველა დავა გადაიჭრება ურთიერთშეთანხმების გზით. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში, დავის გადასაწყვეტად მხარეები უფლებამოსილნი არიან მიმართონ სასამართლოს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

14. ინტერესთა კონფლიქტი

"სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის მე-8 მუხლის მოთხოვნათა გათვალისწინებით, წინამდებარე ხელშეკრულებაზე და მიღება-ჩაბარების აქტზე ხელმომწერნი და კონტროლის განმახორციელებელი პირები სრულად აკმაყოფილებენ კანონის ამ მოთხოვნას და არ იმყოფებიან ინტერესთა კონფლიქტში მიმწოდებელთან.

15. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

15.1 ხელშეკრულება ძალაში შედის მისი ხელმოწერის დღიდან და მოქმედებს 2017 წლის 30 ნოემბრის ჩათვლით, მხარეთა მიერ ნაკისრი ვალდებულებების სრულად შესრულებამდე.

15.2 მხარეები ვალდებულნი არიან ხელშეკრულების ვადის გასვლის შემდეგაც შეასრულონ თავისი ვალდებულებები, თუ ეს ვალდებულებები წარმოიქმნა ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობებით.

16. ზოგადი დებულებები

16.1 არც ერთ მხარეს არ აქვს უფლება, მეორე მხარისაგან წერილობითი თანხმობის გარეშე თავისი უფლებები ან ვალდებულებები გაასხვისოს ან გადასცეს მესამე პირებს.

16.2 მხარეები თანხმდებიან, რომ ის ურთიერთობანი, რომლებიც არ იქნა დარეგულირებული წინამდებარე ხელშეკრულებით, რეგულირებული უნდა იყოს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

16.3 ხელშეკრულება და მასთან დაკავშირებული ყველა დოკუმენტაცია, რომლებიც გაიცვლება მხარეთა შორის ფორმდება ქართულ ენაზე.

16.4 ხელშეკრულება შედგენილია სამი თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ეგზემპლარად, რომელთაგან ორი რჩება შემსყიდველს, ერთი – მიმწოდებელს.

მხარეები არსებითად ეთანხმებიან წინამდებარე ხელშეკრულების პირობებს, რასაც ადასტურებენ ხელმოწერით:

შემსყიდველის მხრიდან:	მიმწოდებლის მხრიდან:
ეკონომიკური დეპარტამენტის უფროსის ფუნქციათა შემსრულებელი	დირექტორი
მამუკა ბერიძე	არჩილ ახალკაციშვილი
---	---

ხელშეკრულების პროექტი მოამზადა:

შესყიდვების სამმართველოს მთავარი სპეციალისტი: /მ.ფალიაშვილი/ _____

შეთანხმებულია:

შესყიდვების სამმართველოს უფროსი: /მიხეილ კახნიაშვილი/ ----------

საბუღალტრო აღრიცხვის სამმართველოს უფროსი: /ნანა ხმალაძე/ ----------

სამართლებრივი ექსპერტიზისა და სასამართლოებთან

ურთიერთობის სამმართველოს უფროსი: /გიორგი შეშაბერიძე/ ----------